პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 191 (3675)

1968 წ. 28 სექტემბერი, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

# სპასკი — პრეტენდენტი

კიევი, 28 სექტემბერი. გუშინ აქ დამთავრდა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ბ. სპასკისა და ვ. კორჩნოის ფინალური მატჩი. იგი მოიგო მოსკოველმა დიდოსტატმა ანგარიშით 6,5:3,5. ამრიგად, მატჩში მსოფლიო ჩემპიონ ტ. პეტროსიანს შეხვდება სპასკი.

მატჩის X პარტიაში, რომელიც დასკვნითი აღმოჩნდა, უშედავათო ბრძოლა გაჩაღდა. კორჩნოის არ სურდა „უსისხლოდ“ გამარჯვების დათმობა. მის ცდას უშედეგოდ არ ჩაუვლია: უკეთესი პოზიცია მიილო, მაგრამ სპასკიმ არ დააყოვნა აქტიური კონტრთამაში. ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს პარტია, კორჩნოის იერიშის დაწყება რომ არ დაგვიანებოდა. სპასკიმ კარგად ისარგებლა მეტოქის წაფორხილებით და მთლიანად გაათანაბრა თამაში. 36-ე სვლაზე კორჩნოიმ თავად შესთავაზა ყაიმი სპასკის და პრეტენდენტობაც პირველმა მიულოცა.

როგორც სამი წლის წინათ, მოსკოვში ესტრადის თეატრში სპასკი შეეცილება პეტროსიანს უმაღლეს ტიტულს. მათი ორთაბრძოლა დაიწყება გაისად გაზაფხულზე.



## მეცხრე პარტია

### ბ. სპასკი — ვ. კორჩნოი

ლაზიერის გამბიტი

1. c4 მf6 2. მc3 c5 3. მf3 d5 4. cd მ:d5 5. e3 e6 6. d4 მc6 7. კd3 კe7 8. 0—0 cd 9. ed 0—0 10. ეe1 ლd6.

აქამდე გათამაშდა თეორიაში კარგად ცნობილი ვარიანტი, რომელშიც თეთრები გეგმავენ იერიშს მეფეზე, ხოლო შავები — კონტრთამაშს ლაზიერის ფრთაზე. კორჩნოიმ უჩვეულო მიზანი დაისახა: პირდაპირი შეტევა გამხოლოებულ პაიკზე.

11. a3 ეd8 12. ლc2 h6 13. მ:d5.

ეს უკვე აუცილებელია 13. ... მf4 მუქარის გამო.

13. ... ლ:d5.

პაიკით აყვანი ათანაბრებდა თამაშს. კორჩნოის ეს როდი აძლევს ხელს მატჩში საჭოჭმანო მდგომარეობის გამო. იგი რთულ თამაშს ეძებს.

14. კe3 კd7 15. კh7+ მფh8 16. კe4 ლh5 17. მe5.

სპასკი მზადაა ყაიმზე შეთანხმდეს. ამიტომ ბრძოლა ენდშპილში გადაჰყავს.

17. ... მ:e5 18. de ეac8.

რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა 18. ... ლ:e5 19. კ:b7 და 20. კ:h6 გამო.

19. ლe2 ლ:e2 20. ე:e2 კc6 21. კ:a7.

სპასკიმ მიიღო მეტოქის გამოწვევა. პაიკის დროებითი შეწირვით კორჩნოი ცდილობს ინიციატივას დაეუფლოს.

21. ... კ:e4 22. ე:e4 ეd2 23. b4.

უკეთესი იყო პაიკის დაუყოვნებლივი დაბრუნება — 23. კd4 ეc4 24. კc3 ე:e4 25. კ:d2 ე:e5 26. კc3 თანაბარი თამაშით. ახლა კორჩნოი უკეთეს ვითარებაში იბრუნებს პაიკს და შესამჩნევად აუმჯობესებს თავის პოზიციას. მისი იერიშის მთავარი ობიექტია პაიკი e5.

23. ... ეa8 24. კe3 ე:a3 25. ეc1 ეd7 26. h4 ეa4 27. ეb1 h5 28. g3 მფh7 29. მფg2 b5 30. მფf3 ეd5 31. g4.

სპასკიმ იგრძნო, რომ ცდა სიკეთეს არ მოუტანს. თავად აქტიურობს. მან განიზრახა ხარისხის შეწირვა.

31. ... hg+ 32. მფ:g4 კd6 33. ed f5+ 34. მფf4 fe 35. კc5.

მოსკოველი დიდოსტატი კომბინაციის წამოწყებისას ხედავდა ამ პოზიციას. მისი იმედია პაიკი d6, რომელმაც უნდა შებოჭოს შავების ინიციატივა. კორჩნოი არ იშურებს მონდომებას უპირატესობის გამოსაყენებლად, მაგრამ ამაოდ. სპასკი ბოლომდე უზუსტესად თამაშობს.

35. ... მფg6 36. ეc1 ეa8 37. ეg1+ მფf7 38. მფ:e4 ეh8 39. ეa1 ე:h4+ 40. მფe3 g5 (აქ პარტია გადაიდო) 41. ეa7+ მფg6 42. ეb7 ეh3+ 43. მფe4 ეh4+ 44. მფe3 მფf5 45. ე:b5 ეh3+ 46. მფe2 მფe4 47. ეb8 ეb3 48. ეe8 ეb2+ 49. მფf1 მფf3 50. ეf8+ მფg4 51. მფg2 e5 52. ეe8 მფf5 53. ეf8+.

კორჩნოის წინადადებით მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.



"ა" კლასი I ჯგუფი

სსრ კავშირის პირველობა

## გოლი...

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა „ა“ კლასის ფეხბურთელთა უმაღლესი ლიგის გუნდების მორიგი კალენდარული შეხვედრები:

„დინამო“ (თბილისი) — „პახტაკორი“ (ტაშკენტი) 2:1

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ზარია“ (ლუგანსკი) 0:2.

„არარატი“ (ერევანი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 0:0.

სკა (როსტოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 1:1.

„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — ცსკა 0:1.

„ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 1:1.

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 28 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 30 | 18 | 10 | 2 | 48—19 | 46 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 29 | 17 | 6 | 6 | 48—31 | 40 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 29 | 14 | 10 | 5 | 45—23 | 38 |
| ცსკა | 30 | 14 | 9 | 7 | 37—26 | 37 |
| „დინამო“ (თბილისი) | 30 | 13 | 10 | 7 | 37—18 | 36 |
| „დინამო“ (მინსკი) | 28 | 13 | 9 | 6 | 31—21 | 35 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 30 | 13 | 8 | 9 | 42—29 | 34 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 29 | 10 | 12 | 7 | 40—35 | 32 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 29 | 10 | 11 | 8 | 28—28 | 31 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 30 | 8 | 13 | 9 | 28—39 | 29 |
| სკა (როსტოვი) | 30 | 9 | 10 | 11 | 36—38 | 28 |
| „ზარია“ (ლუგანსკი) | 31 | 9 | 10 | 12 | 19—33 | 28 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 30 | 8 | 11 | 11 | 29—31 | 27 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 30 | 8 | 9 | 13 | 19—27 | 25 |
| „ნეფტჩი“ (ბაქო) | 29 | 8 | 8 | 13 | 29—40 | 24 |
| „არარატი“ (ერევანი) | 30 | 9 | 6 | 15 | 27—38 | 24 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 31 | 7 | 8 | 16 | 25—38 | 22 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 30 | 6 | 8 | 16 | 18—35 | 20 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 29 | 5 | 9 | 15 | 18—32 | 19 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 30 | 6 | 7 | 17 | 29—52 | 19 |



სურათზე: მეხიკოს ოლიმპიური სოფლის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო ბ. ხარატიშვილისა (საქტესი).

## გოლი...

თბილისის ზამთრის საცურაო აუზში გაიმართა საერთაშორისო მატჩი წყალბურთში. ერთმანეთს ხვდებოდნენ გფრ-ის საკლუბო გუნდი „დუისბურგი-98“ და თბილისის „ლოკომოტივი“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 6:5.



მოსკოვის პროფკავშირთა საქალაქო საბჭოს ტურიზმის ზვენიგოროდსკის საექსკურსიო ბაზა დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურიზმის მოყვარულებში. თავიანთ შვებულებას აქ ატარებენ არა მარტო მოსკოვის, არამედ ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მრავალი მცხოვრებიც.

• • •

სურათზე: ტურისტები გზაში.

ფოტო ვ. კუზმინისა (საკდესი).

## მეხიკო

● ოლიმპიურ თამაშებში პირველნი ჩაებნენ კალათბურთელები. ქალაქ მონტერეის სპორტულ მოედნებზე ფინალურ ჯგუფში დარჩენილი 2 ადგილისთვის იბრძვიან ავსტრალიის, ინდონეზიის, ესპანეთის, პოლონეთისა და ურუგვაის გუნდები.

● მეხიკოში აკრედიტებული ჟურნალისტებისთვის გაიხსნა პრეს-ცენტრი, რომელიც მოთავსებულია პასეო დე ლა რეფორმის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „მარინ-იზაბელის“ მესამე სართულზე. პრეს-ცენტრი აღჭურვილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით. აქ არის სწრაფმოქმედი პირის გადასაღები მანქანები, ელექტრომაგნიტოფონები, სხვადასხვა აპარატები, რომლებიც დააჩქარებენ ინფორმაციის გადაცემის პროცესს.

● თამაშების პროგრამაში შეტანილია 13 ახალი სახეობა: კრივის ყველაზე მსუბუქ — „კოლოს წონაში“ ჩემპიონობის გათამაშება, მრგვალ სტენდზე სროლა და ცურვის 11 სახეობა — ბრასის სტილით 100 მეტრზე ვაჟთა და ქალთა ცურვა, 200 მეტრზე თავისუფალი სტილით და კომპლექსური ცურვა (ვაჟთათვის), 200 მეტრზე ბატერფლაი და გულაღმა, 800 მეტრზე თავისუფალი (ქალთათვის), 100 მეტრი ბატერფლაით და გულაღმა ცურვა (ვაჟთათვის) და სხვ.

● ოლიმპიადაზე გამარჯვებულებს, II და III ადგილზე გასულ სპორტსმენებს გადაეცემათ 1067 ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი.

● საბჭოთა ძალოსანთა გუნდში მხოლოდ 2 სპორტსმენია, რომელთაც იციან ოლიმპიური თამაშების გემო. ესენი არიან ლ. ჟაბოტინსკი და ვ. კურენცოვი. დანარჩენები პირველად გამოვლენ ასეთ დიდ შეჯიბრებაში.

MEXICO 68

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იღვწიან უკეთესისთვის

### მუაშის ქება

ვინც ერთხელ მაინც მოხვდება ქვემო სვანეთში, აუცილებლად მოისმენს მუაშის აგარაკის ქებას. წიწვიანი ტყით შემოსილი მაღალი მთები, ალპიური ველი და შესანიშნავი მინერალური წყალი საერთო ილტაცებას იწვევს. აქ ზაფხულობით დიდძალი დამსვენებელია ხოლმე.

— მუაშს ზამთარშიც ბევრი სტუმარი ეყოლება მოთხილამურეთა და მხტომელთა ბაზად თუ გადააქცევენ, — შენიშნავს „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე მ. ონიანი. — გახედეთ იმ მთას. განა სლალომის მოყვარულთათვის უკეთესი ტრასა იქნება, ან აი იქით...

მართლაც, ბუნებას ისე მარჯვედ დაუბერტყავს თავისი ხვავიანი კალთა, რომ არე-მარე ნამდვილ სარბიელად გადაუქცევია.

— ზამთარში აქ როგორ ამოხვალთ. საავტომობილო გზიდან ოთხი კილომეტრი მაინც იქნება.

— საბაგირო გზა უნდა გაკეთდეს, — ამბობს მურთაზი. — ხარჯია საჭირო, ამიტომ აქედანვე უნდა მომავალზე ფიქრი. შესანიშნავი სპორტული ბანაკი გაშენდება აქ.

ალბათ სხვაც გაიზიარებს ამ შეხედულებას, როცა საკუთარი თვალით ილიქვამს მუაშის მიდამოებს. იქნებ სპეციალისტებმა ერთხელ კიდევ მოინახულონ მუაშის აგარაკი, რომელიც ორმოციოდე კილომეტრითაა დაცილებული ლენტეხს, და თავისი სიტყვა თქვან.

### ჩვენი დასაყრდენი

მუაშში შევხვდი სოფლების სასაშისა და ფახუნდარას კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს მურთაზ და პაატა ონიანებს.

— ესენი მეგობრები და მეტოქენი არიან, — მაცნობს ლენტეხის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი სოსო ჯანხოთელი. — მათი სარბიელია საკოლმეურნეო მინდვრები, საძოვრები და... სპორტული მოედნები. სხვათა შორის, მეტოქეობენ სპორტული ბაზების აგებაშიც.

— რა სათქმელია, — ამბობს პაატა. — ფახუნდარელებს ისევე სჭირდებათ სტადიონი, როგორც თვით ლენტეხელებს. დახურული დარბაზიც მხოლოდ სავარჯიშოდ თუ გამოდგება. მობრძანდით, დაათვალიერეთ ჩვენი სარბიელი.

დრო არ მქონდა ფახუნდარაში ავსულიყავი, მადლობა მოვახსენე კეთილ ადამიანებს.

— აი, ასეთი თავმჯდომარეებია ჩვენი დასაყრდენი, — განაგრძო საუბარი ს. ჯანხოთელმა. — აქტივი ნამდვილად კარგი გვყავს. ალბათ, არც ისაა შემთხვევითი, რომ კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანი გიგლა ონიანი სპორტის ოსტატია. მთამსვლელი სოზარ გუგავა ახლა ხე-ტყის დამამზადებელ კონტორას განაგებს, მაგრამ იგი სპორტისთვის მუდამ მოიცლის ხოლმე. იგივე ითქმის ჩვენს დამჩრჩენ ოსტატებზე გრიშა გულბანსა და ჯოკია გუგავაზე.

ვუსმენდი ს. ჯანხოთელს და ვფიქრობდი: თვითონაც ხომ რაიონის ფიზკულტურული მუშაობის ერთ-ერთი თავკაცია. ამ ადამიანების ხელში როგორ შეიძლება სპორტმა არ შეაყვაროს ყველას თავი!

### რა უჭირთ...

სპორტი რომ კაცს შეაყვარო, აუცილებელია დაანახო მისი სიკეთე, ძალა, საჭიროა ხშირად გამართო შეჯიბრებები, გქონდეს კარგი ბაზები, სადაც ახალგაზრდობა თავს მოიყრის.

ამ მხრივ ლენტეხელებს ბევრი აკლიათ. ზოგჯერ თავადაც არიან დამნაშავენი. მაგალითად, სტადიონი მოუვლელი აქვთ, თუმცა იგი ხის ღობითაა შემოკავებული. მინდორი სარეველას დაუფარავს. ძელები სულს ღაფავენ. არავინ იტყვის, რომ ლენტეხში არ უყვართ ფეხბურთი, თუმცა არც გუნდი ჰყავთ. ტელევიზორით ხომ ყველა სიამოვნებით „ესწრება“ დიდ მატჩებს.

ლენტეხის ცენტრში კულტურის სახლს აშენებენ. ეს ალბათ, ყველაზე მეტად ფიზკულტურელებს ახარებთ. რატომ?

— რაიონის ხელმძღვანელობა დაგვპირდა, რომ კულტურის ძველ სახლს გადმოგვცემს და იქ სპორტულ დარბაზს მოვაწყობთ. ეს უახლოეს ხანში მოხდება. ახალ სახლში კი მოჭადრაკეთათვის ოთახს გამოგვიყოფთო, — თქვეს მასპინძლებმა.

აქ ბევრს იტაცებს ჭიდაობა. დარბაზიც სწორედ მოჭიდავეებისათვის უნდათ. სხვათა შორის, ლენტეხელ ახალგაზრდებს ორი სპორტული დარბაზი აქვთ: სკოლა-ინტერნატში და საშუალო სკოლაში. ამ სასწავლებლების ეზოში კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებიცაა.

ერთი გარემოება მაინც გამოცანად დარჩა. მესვეურთ რომ ჰკითხო, ზამთარი გაუთავებელი იცისო. ამიტომ ჩვენში სპორტული სახეობები სეზონის მიხედვით ვითარდებაო. ეს ალბათ ასეცაა. მაგრამ რატომ არ ინერგება სპორტის სრულწლიური სახეობები: ჭადრაკი და შაში?

— არ გვყავს მწვრთნელები, — იმართლა თავი მ. ონიანმა. მაგრამ მთავარი მიზეზი მხოლოდ ეს როდია.

მართლაც, რატომ არ უნდა იყვნენ ლენტეხში ჭადრაკის მწვრთნელები? რაიონის საშუალო სკოლებში ფიზკულტურის 18 მასწავლებელი მუშაობს, მათგან 15 უმაღლესი განათლებითაა. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში თუნდაც ერთი სემესტრი ჭადრაკის კურსი რომ ეკითხებოდეს, ამ მასწავლებლებს თამაშის თეორია თუ არა, შეჯიბრების ჩატარება მაინც ეცოდინებოდათ. მიზეზი სხვაცაა.

სპორტული ინვენტარი იყიდება ავეჯის მაღაზიაში, სადაც საამისოდ საგანგებო კუთხეა გამოყოფილი.



ცოტაა საქონელი, რაც არის, ისიც მხოლოდ თხილამურები. ჭადრაკსა და შაშს ვერ მოკრავთ თვალს. ლენტეხელები უკმაყოფილონი არიან სავაჭრო ორგანიზაციებისა, რომლებიც ცუდად ამარაგებენ რაიონს სპორტული საქონლით.

ასეთი ამბავიც მომიყვეს. ერთხელ საჭიდაო ლეიბების მხოლოდ ერთი კომპლექტი მოუტანიათ, მყიდველი კი ბევრი აღმოჩნდა. აღარ იცოდნენ ვისთვის დაეთმოთ, ამიტომაც ამ ამბავს უსიამოვნება მოჰყვა.

ლენტეხელები, ისე როგორც ცაგერელები, მოითხოვენ ორივე რაიონისთვის ერთი სპეციალიზებული სპორტული მაღაზიის გახსნას.

### რა უხარით...

მოუსვენარი მდინარის — ლასკადურას მარჯვენა ნაპირზე სკოლა-ინტერნატის კორპუსები აღმართულა. ეზოში გაშენებულ სპორტულ მოედნებზე, კარგ დარში, მუდამ ისმის მოასპარეზე ბავშვების მხიარული ყიჟინა.

აქ არც ზამთარში წყდება სპორტული პაექრობა. სკოლის დარბაზი მუდამ სავსეა მომეცადინე ჭაბუკებითა და გოგონებით.

გასაკვირი როდია, რომ ინტერნატში სპორტსკოლაც მოკალათდა. 200-მდე ბავშვი ჩაბმულია სექციურ მუშაობაში. აქ ნამდვილად კარგი საქმე კეთდება. მოსწავლეები ახლომდებარე სოფლებიდანაც მოდიან სავარჯიშოდ.

— კარგი სპორტსმენები არიან ლენტეხელი მოსწავლეები, მძლეოსნები ნაირა ხაბულიანი და ოლეგ ლიპარტელიანი, მოთხილამურეები სასაშის სკოლიდან — თინა და ელდარ ონიანები და სხვ. ბავშვებთან ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევიან მასწავლებლები გ. ავალიანი, ჯ. ონიანი და ა. ჯაფარიძე, — ამბობს ს. ჯანხოთელი.

— კარგი მოჭიდავეებიც გვყავს: გ. ქურასბედიანი, რ. ჯაფარიძე და თ. გუგავა, რომლებმაც თავი ისახელეს „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა პირველობაში, — შენიშნავს მ. ონიანი, თავად ჭიდაობის სპეციალისტი — სიამოვნებით მონაწილეობენ საჩვენებელ გამოსვლებში, რომლებსაც სოფლებში ვაწყობთ ხოლმე.

სისტემატურად იმართება რაიონის პირველობები. მაგრამ ლენტეხელები როდი კმაყოფილდებიან ამით. ისინი ინტერესით გამოეხმაურნენ რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის I სპარტაკიადის ჩატარების იდეას. შეჯიბრების პროგრამაში სამი სახეობა იყო: ფრენბურთი, რომელიც ცაგერში გაიმართა, ქართული ჭიდაობა (ლენტეხში) და ჭადრაკი. სამწუხაროდ, მოჭადრაკეთა მატჩები ჩაიშალა ამბროლაურელთა მიზეზით. ეს მაშინ, როცა შარშან ამბროლაურში საჭადრაკო კლუბი გაიხსნა (?!)

ლენტეხის სპორტსმენებს დიდი მეგობრობა აკავშირებთ მესტიის რაიონის ახალგაზრდებთან. ზაფხულში მესტიას ჩავიდა ლენტეხის კომკავშირულ-სპორტული დელეგაცია კომკავშირის რაიკომის პირველი მდივნის ს. ჯანხოთელისა და სპორტკავშირის თავმჯდომარის მ. მუკბანიანის ხელმძღვანელობით. მეგობრებმა შეხვედრა კომკავშირის დაარსების 50 წლისთავს მიუძღვნეს. სპორტსმენებმა გამართეს ასპარეზობა ჭიდაობასა და ფრენბურთში.

ლენტეხის სპორტის მესვეურთ ბევრი კარგი გეგმა აქვთ. მაგალითად, ამ შემოდგომაზე აპირებენ მესტიისა და ონის ფეხბურთელებისა და კალათბურთელების მოწვევას. მიზანი ერთია: ლენტეხშიც ჩქეფდეს სპორტული ცხოვრება.

**თ. ნინოშვილი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ლენტეხი.

* * *

**სურათზე:** ლენტეხის „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე მ. ონიანი (შუაში) ესაუბრება ახალგაზრდა სპორტსმენებს — სოფელ ლევშერის კოლმეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანს ბ. მუკბანიანს (მარცხნივ) და ფახუნდარელ მოთხილამურეს დემურ ონიანს.

ფოტო ავტორისა.

# შეჯიბრება გრძელდება

თბილისში, „შრომითი რეზერვების“ სტადიონზე გაიხსნა მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტის სპარტაკიადა. მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი მ. ჩხეიძე, რის შემდეგ აღიმართა ალამი და სპორტსმენები ბრძოლაში ჩაებნენ.

ზოგ სახეობაში ტურნირი უკვე დამთავრდა. კალათბურთელ ქალთა ასპარეზობაში ჩემპიონი გახდა გორის გუნდი, რომელმაც ფინალში დაამარცხა თბილისის კოლექტივი — 37:31. აფხაზეთის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა მოუგო ქუთაისის სპორტსმენებს — 2:1. ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში ყველას აჯობეს ბათუმის წარმომადგენლებმა. სპარტაკიადის პროგრამაშია აგრეთვე, ცურვა, მძლეოსნობა, ხელბურთი და ფეხბურთი.

* * *

**სურათზე:** მარცხნივ — თბილისის ფეხსაცმლის 1-ლი ფაბრიკის გუნდის წევრი გ. იაკუბოვა, რომელმაც 15 კილომეტრზე ველორბოლაში საპრიზო ადგილი მოიპოვა. მარჯვნივ — გორისა და თბილისის კალათბურთელ ქალთა გუნდების შეხვედრის მომენტი.

ტექსტი და ფოტო ვ. ბუკინისა.





## [illegible]

### ქუთაისი

დამთავრდა მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის ზონალური სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო 5 სახეობა. გამარჯვებისთვის 10 კოლექტივი იბრძოდა. კალათბურთში, ფრენბურთში და ცურვაში ყველას აბრეშუმის კომბინატის გუნდებმა აჯობეს. მათვე დაისაკუთრეს პირველობა კომპლექსურ ჩათვლაში და სპარტაკიადის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

**შ. ნიჟარაძე.**

### ცხინვალი

სამხრეთ ოსეთის პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში მოიგო ცხინვალის პირველმა ნაკრებმა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ა. მარგიევი, ი. გოგიჩაევი, თ. პურიჭამიაშვილი (სამივე — ცხინვალი), გ. მარგიევი (ცხინვალის რაიონი), ვ. გაზაევი (ცხინვალი), ნ. ოთინაშვილი (ცხინვალის რაიონი), ვ. გაბარაევი, ლ. გასიევი (ორივე — ცხინვალი).

**ვ. ჟელქოევი.**

# ტურისტული კოცონი ივრის პირას

პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პირველკურსელებმა მოაწყვეს ორდღიანი მასობრივი ტურისტული ექსკურსია. ეს ღონისძიება, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა, ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის (მდივანი რ. დონაძე) და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის (გამგე ნ. მახვილაძე) თაოსნობით მოეწყო.

თბილისიდან ადრე დილით გასული სტუდენტები ჯერ სიონის წყალსაცავს ეწვივნენ, შემდეგ — ბოჭორმის მონასტერს. საღამოს ისინი მდინარე ივრის ნაპირზე დაეშვნენ და იქ დასცეს ბანაკი. ტურისტული კოცონი გვიან ღამემდე გიზგიზებდა ივრის ნაპირზე.

ლაშქრობის მეორე დღე სპორტულ ასპარეზობებს მიეძღვნა. დილის გამამხნევებელი ვარჯიშისა და საუზმის შემდეგ დაიწყო შეჯიბრება ტურისტულ ესტაფეტაში ფაკულტეტებს შორის. პროგრამაში შედიოდა სირბილი ზურგჩანთით, კოცონის დანთება და წყლის ადუღება. სირბილში ყველას აჯობეს ფილოლოგებმა, მაგრამ წყლის ადუღება ბიოლოგებმა დაასწრეს და პირველობაც მათ დარჩათ. III ადგილი დაწყებითი განათლების სტუდენტებს ხვდათ. ამ შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თ. კალანდაძე (ბიოლოგიის ფაკულტეტი), რ. ქორქია (დაწყებითი განათლება) და მ. არაბიძე (ფილოლოგიური).

საინტერესო შეხვედრები ჩატარდა, აგრეთვე, ფეხბურთში, ფრენბურთსა და ბადმინტონში.

აღსანიშნავია, რომ პირველკურსელმა ველოსიპედისტებმა „საპატიო ესკორტობა“ ითავეს და თავიანთი ველოსიპედებით გაჰყვნენ მოლაშქრეებს.

**თ. ბაჩეჩილაძე.**

MEXICO • 1968 • MEXICO • XIX • MEXICO • 1968 •

# ოლიმპიადის გახსნამდე დარჩა 14 დღე

## მეხიკოს სიახლეები

**ნაირობი, 26 სექტემბერი.** მაღალმთიანეთის პირობებში 5000 მეტრზე რბენაში 14 წუთი და 11 წამი აჩვენა ცნობილმა კენიელმა მძლეოსანმა ნ. ტემუმ. ეს 9 წამით უკეთესია მ. გამუდისა და 8,8 წამით — ავსტრალიელ რ. კლარკის მიერ ნაჩვენებ შედეგებზე.

**ფრიტაუნი, 26 სექტემბერი.** მეხიკოში გაემგზავრა სიერა-ლეონეს ორი სპორტსმენი — სტაიერი ა. მასაკუი და სიმაღლეზე მხტომელი მ. ტურაი. მძიმე წონის მოკრივე ჯ. სოკერთან (იგი უკვე მეხიკოში იმყოფება) ერთად, ისინი დაიცავენ თავიანთი ქვეყნის სპორტულ სახელს.

**რაბატი, 26 სექტემბერი.** შვეციის ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსანთა ნაკრებმა, რომელსაც მეთაურობს ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი გ. ფრედრიკსონი, გადაწყვიტა ოლიმპიადისწინა წვრთნა ჩაატაროს არა მაღალმთიანეთის პირობებში, არამედ მაროკოში. შვედები ვარჯიშობენ ზღვის დონიდან 1200 მეტრზე მდებარე ერთ-ერთ ტბაზე.

**მეხიკო, 26 სექტემბერი.** ცნობილი ავსტრალიელი ველოსიპედისტი ჰ. კლარკი ოლიმპიურ ტრეკზე ვარჯიშის დროს დაეცა და ტრავმა მიიღო. ექიმები ფიქრობენ, რომ სპორტსმენს მაჯის მოტეხილობა აქვს. თუ ეს დამტკიცდა, კლარკი, რომელიც თამაშების ჩემპიონის პრეტენდენტი იყო ადგილიდან 1000 მეტრზე გიტსა და ტანდემებით რბოლაში, ველარ იასპარეზებს.

**სტოკჰოლმი, 26 სექტემბერი.** თამაშებზე შვეციის სახელს გუნდურ ველორბოლაში დაიცავს 4 ძმა — გესტა, სტურე, ერიკი და თომას პეტერსონები — ამ სახეობაში მსოფლიო ჩემპიონები.

**რომი, 26 სექტემბერი.** ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი — ინდოეთის ბალახის ჰოკეისტთა გუნდი ტურნეს ატარებს საზღვარგარეთ. ინდოელი ჰოკეისტები ესტუმრნენ იტალიას, სადაც პირველ მატჩში შეხვდნენ ამ ქვეყნის ახალგაზრდულ გუნდს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0.

**იაუნდე, 26 სექტემბერი.** როგორც აფრიკის სპორტის საქმეთა უმაღლესი საბჭოს სამდივნოს წარმომადგენელმა განაცხადა, ამ კონტინენტის სპორტსმენთა უმრავლესობა (250-მდე კაცი) ორი თვითმფრინავით გაემგზავრება ოლიმპიური თამაშების დედაქალაქში.

## ჩვენი ოლიმპიელები

# გვჯერა მისი ძალისა

ხუთი წლის წინათ საქართველოს მოცურავეთა შეჯიბრების ოქმებში მის გვარს ვერსად შეხვდებოდით. მანამდე სპორტსმენობაზე არც უფიქრია. მთავარ საზრუნავს სკოლაში კარგად სწავლა და მუსიკის დაუფლება შეადგენდა. მაგრამ 10 წლის თინას ბუნებაშიც მოხდა ცვლილება. ერთხელ მეგობრებმა ურჩიეს „დინამოს“ აუზში მოცურავეთა შეჯიბრებაზე წავიდეთო, საამისოდ გოგონებს ორასიოდე მეტრი უნდა გაევლოთ.

თინას მოეწონა თანატოლების ტურნირი. შინ დედას განცდილზე ესაუბრა და გამოუტყდა: მეც ვივარჯიშებ, პირობას გაძლევ, არც სწავლაში ჩამოვრჩები, არც მუსიკაშიო. დედას შვილის გადაწყვეტილება მოეწონა, მოაგონდა: ექიმებიც ურჩევდნენ ბავშვის ფიზიკური გაკაჟებისთვის სპორტი ყველაზე კარგი საშუალებააო.

დათანხმდა, თავისთვის კი გაიფიქრა: აუზი ახლოა, იმეცადინოს, ზრუნვას არ მოვაკლებო. რა იცოდა, რომ მისი გოგონა სულ მალე დაიპყრობდა მოსკოვის, ლენინგრადის, როსტოვის, მინსკისა და სხვა ქალაქების აუზებს. თინა ლეკვეიშვილის სპორტულმა ნიჭმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, სულ მალე შეასრულა მოზრდილთა III თანრიგის ნორმატივი. ეს იყო 1964 წელს. ერთი წლის შემდეგ კი მეორეთანრიგოსანი გახდა. მისთვის განსაკუთრებით ნაყოფიერი გახლდათ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის მოსამზადებელი პერიოდი. 1966 წელს მწვრთნელ მ. ტატიშვილის აღსაზრდელმა I თანრიგის ნორმატივი შეასრულა, რომელსაც სულ მალე ოსტატობის კანდიდატობაც მოჰყვა, ახლა იგი ტოლს აღარ უდებდა საქართველოს უძლიერეს გულაღმა მოცურავეებს.

ჩვენი ქვეყნის ცურვის მოყვარულებმა თინა დაუსწრებლად გაიცნეს. „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში — „მხიარული დელფინი“, თბილისელმა გოგონამ ზედიზედ მოიპოვა პირველობა და სპეციალისტები აალაპარაკა.

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის წინ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში თინამ საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა, შემდეგ კი ლენინგრადში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში ისახელა თავი.

მოსკოვი. ლუჟნიკის საცურაო აუზი. ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება. ლეკვეიშვილს იქ ოქროს მედლები არ მოუხვეჭია, მაგრამ 18 წლის გოგონამ 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში გუნდს საკმაო რაოდენობის ქულები შესძინა, რესპუბლიკური რეკორდების ცხრილში კი ახალი შესწორებანი შეიტანა, თან სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა. სპარტაკიადის შედეგებით ის და ქუთაისელი ი. ზოტოვა ჩაირიცხნენ ჩვენი ქვეყნის გოგონათა იმ ნაკრებში, რომელიც ევროპული ტურნირისთვის — „ოლიმპიური იმედი“ — სამზადისს შეუდგა.

სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ამ ტურნირამდე ძალა მინსკში იტალიელ თანატოლებთან ასპარეზობაში მოსინჯა და წარმატებასაც მიაღწია, ლეკვეიშვილმა კი 3 გამარჯვება იზეიმა: პირველი იყო კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 მეტრზე, მოიგო 100 (1.11,5) და 200 (2.34,8) მეტრზე გულაღმა ცურვა, თანაც ორივე დისტანციაზე საქართველოს ახალი რეკორდები დაამყარა.

წვრთნაში კიდევ რამდენიმე დღემ განვლო. როსტოკში (გდრ) შეიკრიბნენ „ოლიმპიური იმედის“ თასისთვის მებრძოლი ქვეყნების საუკეთესო სპორტსმენები. თინასთვის ეს გახლდათ პირველი დიდი საერთაშორისო ტურნირი, სადაც ერთი რომელიმე უცხო ქვეყნის სპორტსმენებთან ბრძოლაში კი არ უნდა დაეცვა სსრ კავშირის სპორტული ღირსება, არამედ ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენლებს უნდა შებრძოლებოდა.

მუდამ მოკრძალებული, თითქოს გაუბედავი გოგონა მზად იყო მიეღო ყველას გამოწვევა. ეკონომიურად, მაგრამ შემართებით იბრძოდა, აქაც სამჯერ გამოვიდა სტარტზე და სამჯერვე პირველი იყო, თანაც 100 მეტრზე საქართველოს რეკორდი 1.10,9-მდე დაიყვანა.

ერთხელ სსრ კავშირის ცურვის ფედერაციის თავმჯდომარეს ზ. ფირსოვს ჰკითხეს: ვის შეიყვანას აპირებთ ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში გულაღმა ცურვაში?

— კანდიდატი ბევრია: ქვეყნის რეკორდსმენი ტ. სავილიევა, ლ. ბერბელო (ორივე — ლენინგრადი), მოსკოველი ვ. ანაშკინა და, რა თქმა უნდა, უფრო ახალგაზრდები —კიეველი ლ. კომაროვა და თბილისელი თ. ლეკვეიშვილი. რაც შეეხება მეხიკოს საგზურებს, მათი გაცემა წახკაძორის საკავშირო პირველობისთვის მიგვინდვია.

და, აჰა, გადამწყვეტი ეტაპიც დადგა. წახკაძორში ლეკვეიშვილის მიერ მოპოვებულ წარმატებებზე „ლელო“ დაწვრილებით წერდა, მაგრამ მკითხველებს მაინც მოვაგონებთ, რომ თინამ იქ სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა 100 მეტრზე ცურვაში (თანაც საქართველოს ახალი რეკორდიც დაამყარა— 1.10,5), 200 მეტრზე კი ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

მეხიკოს პირველი საგზური გულაღმა მოცურავე ქალებს შორის წახკაძორის ჩემპიონატმა თბილისელ გოგონას მისცა.

ახლა ისღა დაგვრჩენია, მეხიკოს ოლიმპიადიდან ველოდოთ მოცურავეთა ტურნირის შედეგებს. თინას იქ წარმატებით ასპარეზობის შანსი აქვს. ერთადერთი, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს, საერთაშორისო შეხვედრებში გამოცდილების ნაკლებობაა. მაგრამ ლეკვეიშვილი ხომ ყველა წინააღმდეგობას შესანიშნავად ძლევს და გვჯერა, რომ არც მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენებს შეუშინდება.

**ნ. ვიგოლაშვილი.**



ს უ რ ა თ ზ ე: თ. ლეკვეიშვილი.

## ოლიმპიური ქორწილები

ქორწილი ოლიმპიურ თამაშებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ოლიმპიადები საქორწილო რიტუალების გარეშე თითქოს წარმოუდგენელი გახდა.

სკვო-ველის VIII ზამთრის ოლიმპიადაზე იქორწილეს სამთო-მოთხილამურეთა შეჯიბრების მონაწილეებმა — ამერიკელმა პ. პიტოუმ და ავსტრიელმა ე. ციმერმანმა. ამერიკელი საცოლე საქორწილო საკურთხევლის წინაშე ვერცხლის ორი მედლით წარსდგა. საქმროს ნადავლი მოკრძალებული გახლდათ: იგი სწრაფდაშვებაში X ადგილზე გავიდა და, ცხადია, ჯილდოს გარეშე დარჩა.

რომის XVII ოლიმპიურ თამაშებში ავსტრალიელი ს. კნაიტი მითხოვდა მექსიკელ ხ. ბოტელოს — ტრამპლინიდან წყალში ხტომაში ბრინჯაოს მედლის მფლობელს. ამჯერად საცოლე იყო „ლარიბი“: მან XII და XVIII ადგილები დაიკავა ტრამპლინიდან და კოშკიდან ხტომაში.

ტოკიოს XVIII ოლიმპიურ თამაშებზე ბულგარელი მძლეოსანი დ. იორგოვა გათხოვდა თანამემამულე ტანმოვარჯიშე ნ. პროდანოვზე.

მაგრამ ყველაზე „შესაფერისი“ წყვილი მაინც ინგლისელი მძლეოსნები — ე. პეკერი და რ. ბრაიტუელი იყვნენ. ისინი შეუღლდნენ არა მარტო სიყვარულით, არამედ რბენის ერთიდაიმავე დისტანციებით გატაცების გამოც. ტოკიოში ენი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა 800 მ რბენაში, ვერცხლის პრიზიორი — 400 მ. რობიმ კი ვერცხლი მოიხვეჭა ესტაფეტაში 4×400 მ და IV ადგილი 400 მ ფინალურ გარბენში.

იყო შემთხვევები, როცა ოლიმპიადა გახდა მიზეზი სპორტსმენთა შეუღლებისა. ამის ბრწყინვალე მაგალითია ჩეხოსლოვაკიელ ო. ფიკოტოვასა და ამერიკელ ჰ. კონოლის შეუღლება. ორთავემ მელბურნის XVI ოლიმპიურ თამაშებში ოქროს მედლები მოიხვეჭეს: პირველმა ბადროს, ხოლო მეორემ — უროს ტყორცნაში.

## ფავორიტები

მართალია, ამ ბოლო ხანს მსოფლიოში გამოჩნდნენ ათლეტები, რომლებიც საკმაოდ მაღალ შედეგებს აღწევენ მძიმე წონაში, მაგრამ საბჭოთა გოლიათის, ლეონიდ ჟაბოტინსკის მაჩვენებელი სამჭიდში — 590 კგ ჯერჯერობით მიუწვდომელია. ჟაბოტინსკი მეხიკოს ოლიმპიადის ძირითადი ფავორიტია. მას შეიძლება მეტოქეობა გაუწიონ ცალკეულ მოძრაობებში, ძირითადად აჭიმვაში. მაგრამ საბოლოო ჯამში მისი გამარჯვება ეჭვს არ იწვევს. უცხოელთაგან ანგარიშგასაწევი არიან: ამერიკელები რ. ბედნარსკი, ჯ. პიკეტი და ჯ. დიუბი. ცხადია, სამივე ვერ იასპარეზებს მეხიკოში — ერთ-ერთი თამაშების მიღმა დარჩება.





სსრ კავშირის ნაკრები და აშშ-ის ოლიმპიური გუნდი — აი, ორი ფავორიტი, რომელთა დავა პასუხს გასცემს შეკითხვას, თუ ვინ გახდება XIX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი კალათბურთში.

კალათბურთის სამშობლო — აშშ ოლიმპიადების უცვლელი ჩემპიონია და ცხადია, იგი ამჯერადაც იბრძოლებს თავისი მაღალი ტიტულის დასაცავად. სსრ კავშირის ნაკრებმა, მას შემდეგ, რაც მოილია ყველა უმაღლესი ჯილდო ევროპის მატერიკზე, მსოფლიოში უძლიერესის სახელი დაისაკუთრა. ოლიმპიური ჩემპიონი თუ მსოფლიო ჩემპიონი? ეს მართლაც მეხიკოს ოლიმპიადის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემათაგანია.

გუნდებმა ერთმანეთის ძალა წინასაოლიმპიადო მატჩებში მოსინჯეს. ამ შეხვედრათა მიხედვით უპირატესობა მსოფლიო ჩემპიონის მხარეს იყო, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. მეხიკოში ჩვენი მთავარი მეტოქე სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება.

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის ნაკრების წევრი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ზ. საკანდელიძე ამერიკელებთან მატჩში. უკანა პლანზე მოჩანან ჩვენი ნაკრების კაპიტანი გ. ვოლნოვი და ამერიკელი ზანგი უ. სკოტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ა“ კლასი II ჯგუფი

# გამოტოვებული მატჩი

როგორც ვიუწყებოდით, „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ლიდერი სვერდლოვსკის „ურალმაში“ საზღვარგარეთულ ტურნეში იმყოფებოდა, ამიტომ რამდენიმე კალენდარული მატჩი მან გააცდინა.

26 სექტემბერს შედგა მისი გამოტოვებული შეხვედრა ჯგუფის მეორე ლიდერთან — ყაზანის „რუბინთან“. გაიმარჯვა „ურალმაშმა“ — 2:0. ახლა მას 31 შეხვედრის შემდეგ დაგროვილი აქვს 47 ქულა (ბურთების სხვაობა 46—14) და კვლავ ტურნირის ერთპიროვნული ლიდერია. „რუბინს“ 31 მატჩის შემდეგ 39 ქულა დარჩა (ბურთების სხვაობა 42—23). იგი IV ადგილზე იმყოფება.

ფეხბურთი -68

## სსრ კავშირის პირველობა

„ბ“ კლასი

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები III და IV ზონებში. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

### ცხინვალიდან...

ადგილობრივი „სპარტაკისა“ და კასპიისკის „ტრუდის“ ორთაბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ გოლის გატანის მეტი შესაძლებლობა მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ უზუსტო დარტყმების გამო ეს ვერ გამოიყენეს გაბოძემ, ჯიჰოევმა და სხვ. სპარტაკელთა უპირატესობა კიდევ უფრო საგრძნობი გახდა მატჩის მეორე ნახევარში, მაგრამ სასურველ შედეგს მათ ვერ მიაღწიეს. ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ვ. მელქოევი.

### რუსთავიდან...

„მეტალურგმა“ მორიგ გამარჯვებას მიაღწია თავის მოედანზე. მან ამჯერად, ანგარიშით 3:0 დაამარცხა ალექსანდროვსკაიას „კოლოსი“. პირველ წარმატებას რუსთაველმა ფეხბურთელებმა 21-ე წუთზე მიაღწიეს. კონიაშვილმა ლამაზი დარტყმით გახსნა ანგარიში. შესვენების შემდეგ „მეტალურგმა“ კიდევ უფრო გააძლიერა შეტევები და 57-ე წუთზე ახალ წარმატებას მიაღწია. ბურთი გაიტანა ჰანტურიამ. 84-ე წუთზე დანელიამ მესამედ შეარხია მეტოქის კარის ბადე — 3:0. აღსანიშნავია, რომ „მეტალურგის“ ფეხბურთელმა გვენცაძემ პირველ ტაიმში ვერ გამოიყენა პენალტი.

რ. გაბრიჩიძე.

### სოხუმიდან...

ადგილობრივმა „დინამომ“ ძლიერად ჩაატარა მატჩი ზონის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან — ნოვოროსიისკის „ცემენტთან“. სოხუმელთა სწრაფი შეტევები სულ უფრო სახიფათო ხდებოდა და აი, 30-ე წუთზე გაბესკირიამ გახსნა ანგარიში. 5 წუთის შემდეგ იმავე გაბესკირიამ ნოვოროსიისკელთა კარში მეორე ბურთი გაიტანა. შესვენების შემდეგ გააქტიურდნენ სტუმრები. მაგრამ როგორც ეს ხშირად ხდება, ბურთი სწორედ მათ კარში გავიდა. მესამე გოლის ავტორია სოხუმელთა ახალგაზრდა ფორვარდი გაბლია. მასპინძლებს ამის შემდეგაც შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ბურთი თავიანთ კარში მიიღეს. გაიმარჯვა „დინამომ“ — 3:1. აღსანიშნავია სოხუმელთა მცველის გოგიშვილის კარგი თამაში.

შ. ჯალაღონია.

### ზუგდიდიდან...

„ენგური“ გაცილებით უკეთ ატარებს II წრის შეხვედრებს. ამჯერადაც მათ სატურნირო ცხრილში მორიგი 2 ქულა ჩაიწერეს. მასპინძლებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს კრიმსკის „უროჟაი“. პირველი ბურთი „უროჟაის“ კარში გავიდა შესვენებამდე 5 წუთით ადრე, როცა როგავამ კარგად გამოიყენა ბენდერავას გადაცემა — 1:0. თამაშის 70-ე წუთზე იმავე როგავამ ოსტატურად ჩააწოდა კუთხური და ზუგდიდელთა მცველმა ძიაპშიპამ თავური დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა.

გ. ალშიბაია.

### გორიდან...

ადგილობრივი „დილა“ ამ დღეს მასპინძლობდა სვეტლოგრადის „უროჟაის“. თამაში თავიდანვე მაღალ ტემპში წარიმართა. სახიფათო მომენტები იქმნებოდა ხან გორელთა, ხან კი სვეტლოგრადელთა საჯარიმო მოედნებზე. მაგრამ პირველ ნახევარში ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო ანგარიშის გახსნა. შესვენების შემდეგ წარმატება პირველად გორელებმა იზეიმეს. ბურთი 49-ე წუთზე გაიტანა ბურჯანაძემ. 6 წუთის შემდეგ იბრაგიმოვმა წონასწორობა აღადგინა. მაგრამ ეს იყო სტუმრების პირველი და უკანასკნელი წარმატება. ამის შემდეგ მასპინძლებმა კიდევ ორჯერ აიღეს „უროჟაის“ კარი და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს — 3:1. აღსანიშნავია, რომ ორი მომდევნო ბურთის ავტორიც ბურჯანაძე გახლდათ.

გ. გოზალიშვილი.

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 28 სექტემბრისთვის

### III ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „უროჟაი“ (მაიკოპი) | 34 | 21 | 6 | 7 | 58—20 | 48 |
| „ხიმიკი“ (ბალაკოვო) | 35 | 17 | 13 | 5 | 40—16 | 47 |
| „შრ. რეზერვები“ (კურსკი) | 34 | 19 | 9 | 6 | 41—32 | 47 |
| „სპარტაკი“ (ბელგოროდი) | 34 | 18 | 10 | 6 | 57—19 | 46 |
| „დილა“ (გორი) | 33 | 18 | 9 | 6 | 58—22 | 45 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 34 | 17 | 7 | 10 | 40—22 | 41 |
| „ტრუდი“ (ენგელსი) | 32 | 14 | 9 | 9 | 45—25 | 37 |
| „ტორპედო“ (არმავირი) | 33 | 12 | 11 | 10 | 32—30 | 35 |
| „სპარტაკი“ (ორიოლი) | 33 | 11 | 12 | 11 | 36—31 | 34 |
| „ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური) | 34 | 12 | 10 | 12 | 28—37 | 34 |
| „უროჟაი“ (სლავიანსკი) | 33 | 12 | 8 | 13 | 43—34 | 32 |
| „ენერგია“ (ვოლჟსკი) | 33 | 11 | 10 | 12 | 31—28 | 32 |
| „დაშკინი“ (ზაქათალა) | 33 | 10 | 11 | 12 | 26—42 | 31 |
| „უროჟაი“ (ლაბინსკი) | 33 | 9 | 13 | 11 | 17—40 | 31 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 32 | 11 | 8 | 13 | 35—37 | 30 |
| „კოლოსი“ (ალექსანდროვსკაია) | 33 | 10 | 8 | 15 | 31—41 | 28 |
| „უროჟაი“ (სვეტლოგრადი) | 35 | 8 | 12 | 15 | 29—48 | 28 |
| „ხიმიკი“ (ნევინომისკი) | 33 | 7 | 12 | 15 | 24—38 | 25 |
| „უროჟაი“ (ლენინგრადსკაია) | 33 | 6 | 11 | 16 | 20—39 | 23 |
| „არაზი“ (ნახიჩევანი) | 34 | 5 | 9 | 20 | 22—56 | 19 |
| „ურალანი“ (ელისტა) | 32 | 2 | 6 | 24 | 23—67 | 10 |

### IV ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლორი“ (კიროვაკანი) | 33 | 16 | 12 | 5 | 36—28 | 44 |
| „სევანი“ (ოქტემბერიანი) | 34 | 17 | 8 | 9 | 50—28 | 42 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 34 | 18 | 6 | 10 | 54—36 | 42 |
| „მაშუკი“ (პიატიგორსკი) | 33 | 17 | 7 | 9 | 45—25 | 41 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 35 | 17 | 7 | 11 | 53—38 | 41 |
| „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) | 33 | 14 | 11 | 8 | 38—23 | 39 |
| „არაქსი“ (ეჩმიაძინი) | 33 | 17 | 5 | 11 | 39—31 | 39 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 35 | 12 | 13 | 10 | 42—44 | 37 |
| „უროჟაი“ (დერბენტი) | 32 | 12 | 11 | 9 | 40—28 | 35 |
| „ნარზანი“ (კისლოვოდსკი) | 32 | 11 | 12 | 9 | 36—28 | 34 |
| „უროჟაი“ (კრიმსკი) | 33 | 11 | 12 | 10 | 39—35 | 34 |
| „მადაროელი“ (ჭიათურა) | 34 | 12 | 9 | 13 | 37—35 | 33 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 35 | 13 | 7 | 15 | 47—48 | 33 |
| „ენგური“ (ზუგდიდი) | 35 | 10 | 13 | 12 | 30—35 | 33 |
| „ირისთონი“ (მოზდოკი) | 34 | 12 | 8 | 14 | 36—34 | 32 |
| „ტრუდი“ (კასპიისკი) | 32 | 12 | 7 | 13 | 32—38 | 31 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 34 | 12 | 6 | 16 | 36—36 | 30 |
| „სპარტაკი“ (ცხინვალი) | 32 | 6 | 12 | 15 | 23—40 | 24 |
| „უროჟაი“ (გროზნო) | 32 | 6 | 9 | 17 | 32—42 | 21 |
| „ლერნაგორცი“ (კაფანი) | 33 | 8 | 5 | 20 | 23—52 | 21 |
| „კახეთი“ (თელავი) | 33 | 4 | 8 | 21 | 20—54 | 16 |

### სხვა შეხვედრები

25 სექტემბერს შედგა მორიგი ტურის მატჩები:

**III ზონა**

„არაზი“ (ნახიჩევანი) — „სპარტაკი“ (ბელგოროდი) 0:0, „დაშკინი“ (ზაქათალა) — „შრ. რეზერვები“ (კურსკი) 0:0, „ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური) — „სპარტაკი“ (ორიოლი) 1:0, „ტორპედო“ (არმავირი) — „უროჟაი“ (მაიკოპი) 1:1, „ხიმიკი“ (ბალაკოვო) — „უროჟაი“ (ლენინგრადსკაია) 2:0, „ტრუდი“ (ენგელსი) — „ხიმიკი“ (ნევინომისკი) 5:0.

**IV ზონა**

„ლორი“ (კიროვაკანი) — „უროჟაი“ (დერბენტი) 1:0, „სევანი“ (ოქტემბერიანი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:0, „ლერნაგორცი“ (კაფანი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:1, „არაქსი“ (ეჩმიაძინი) — „შუქურა“ (ქობულეთი) — 4:0, „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „ირისთონი“ (მოზდოკი) 1:0, „კოლხეთი“ (ფოთი) — „ნარზანი“ (კისლოვოდსკი) 1:1. „მადაროელი“ (ჭიათურა) — „კახეთი“ (თელავი) 3:0.

# უდისციპლინონი მკაცრად უნდა დავსაჯოთ!

## სპორტულ-ტექნიკურ კომისიაში

გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის მორიგი სხდომა, რომელმაც იმსჯელა რესპუბლიკის პირველობის მატჩებში დაშვებული დარღვევების შესახებ.

აი, ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა წალენჯიხაში ადგილობრივი „კოლმეურნისა“ და ბორჯომის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა შეხვედრის დროს. ამ მატჩში უდისციპლინო საქციელით თავი გამოიჩინეს ბორჯომელმა ფეხბურთელებმა ჯ. ფირცხალავამ და გუნდის კაპიტანმა ი. კოვალენკომ. პირველმა უმსგავსო შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის არბიტრს ა. ჭკუასელს, ხოლო მეორემ — უცენზურო სიტყვებით „დააგვირგვინა“ ამხანაგის უხამსი საქციელი. სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ იმსჯელა ამ ფეხბურთელების შესახებ და მისცა მათ პირობითი დისკვალიფიკაცია წლის ბოლომდე. მათვე აეკრძალათ ორ კალენდარულ მატჩში მონაწილეობა.

აღმაშფოთებელ ინციდენტს ჰქონდა ადგილი საჩხერის „ჩიხურასა“ და მაიაკოვსკის „საირმის“ გუნდების ორთაბრძოლაში. მაიაკოვსკელმა ფეხბურთელებმა არასწორად ჩათვალეს ქუთაისელი მსაჯის მ. ლოსაბერიძის გადაწყვეტილება და ლანძღვაგინებით მიმართეს მას. უდისციპლინო სპორტსმენები ო. ვაშაკიძე და თ. ხანიკიძე დისკვალიფიცირებული არიან 8 თამაშით.

მსაჯთან შეკამათებისა და უხეშობისთვის თითო თამაშით არიან დისკვალიფიცირებული: ჯ. კიზირია („კოლმეურნე“, წალენჯიხა), ფ. გოცირიძე („კოლმეურნე“, ჩხოროწყუ), შ. ახალაია („განთიადი“, აბაშა).

როგორც მოგახსენეთ, ზემოაღნიშნული ფეხბურთელები სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ სათანადოდ დასაჯა, მაგრამ სასჯელის ეს ზომა, რა თქმა უნდა, საქმეს არ შველის. ფეხბურთელებთან ძირითადი მუშაობა უნდა ჩაატარონ სპორტსაზოგადოებებმა და იმ ორგანიზაციებმა, სადაც უხდებათ სპორტსმენებს მუშაობა, თამაში. ხშირად ფეხბურთელებს კარგ მაგალითს მწვრთნელებიც ვერ აძლევენ და თვით გვევლინებიან წესრიგის დამრღვევთა როლში. მათი საქციელით უნდა დაინტერესდნენ ადგილობრივი პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

მეტი მოეთხოვებათ მსაჯებსაც, რომლებიც მუდამ ვერ იჩენენ პრინციპულობას, არ დგანან სათანადო სიმაღლეზე. მაგალითად, მსაჯი მ. ლოსაბერიძე, რომელმაც შარშან არასაპატიო მიზეზით დააგვიანა მატჩზე (რის გამოც დისკვალიფიცირებულ იქნა), შემდგომში, ქუთაისის სპორტკავშირის შუამდგომლობით, კვლავ აღდგა თავის უფლებებში. ლოსაბერიძემ ამის შემდეგაც დაარღვია წესრიგი. მან ერთ-ერთ შეხვედრაში, მართალია, ჩამოართვა ბარათები მინდვრიდან გაძევებულ ფეხბურთელებს, მაგრამ გვარები რატომღაც არ შეიტანა ოქმში. სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ ლოსაბერიძის საკითხი განსახილველად გადასცა მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმს.

ე. ჩიფჩიური,
საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის მდივანი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# „დუისბურგ-98“ თბილისში

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „დუისბურგ-98“-ის წყალბურთელთა საკლუბო გუნდი. გერმანელი სტუმრები თითო მატჩს გამართავენ საქართველოს წლევანდელ ჩემპიონ თბილისის „ლოკომოტივთან“ და მესამე ადგილის მფლობელ ადგილობრივ „ბურევესტნიკთან“. ჩვენი კორესპონდენტი თ. გაჩეჩილაძე თბილისის აეროპორტში შეხვდა სტუმრებს და საუბარი ჰქონდა გუნდის მწვრთნელ ჰერბერტ გლინკასთან. გთავაზობთ ამ ინტერვიუს:

● რას გვეტყვით „დუისბურგ-98“-ის შესახებ?

— „დუისბურგ-98“ 1898 წელს ჩამოყალიბდა, 1934 წლიდან მონაწილეობს ქვეყნის ჩემპიონატებში და 7-ჯერ აქვს მოპოვებული უმაღლესი ტიტული. წელს ეს-ესაა დავამთავრეთ ქვეყნის ჩემპიონატი და არც თუ სახარბიელო შედეგს, მხოლოდ VI ადგილს მივაღწიეთ.

ჩვენი გუნდი პირველადაა საბჭოთა კავშირში. მოხარული ვართ, რომ საშუალება გვაქვს გავეცნოთ თქვენს ქვეყანას, მზიურ საქართველოს.

● როგორია თქვენი სპორტული ბიოგრაფია?

— წყალბურთი ბავშვობიდან მიტაცებდა. დიდხანს ვთამაშობდი ქვეყნის პირველობაზე. ორი წლის მწვრთნელის რთული მოვალეობა ვიკისრე და მთელ ჩემ გამოცდილებას ახალგაზრდებს გადავცემ.

„ლელო“ ინტერვიუ

● როგორც ცნობილია, მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში თქვენი ქვეყნის ნაკრები არ იასპარეზებს. რა არის ამის მიზეზი?

— წინათ ჩვენები გამოდიოდნენ თამაშებში. ამჟამად კი, რა დასამალია, არა გვყავს ოლიმპიური დონის შესაფერისი სპორტსმენები.

● ვის გამოყოფთ თქვენი გუნდიდან?

— ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრებს — კ. კიუპერს და დ. ფანულანდს.

● რა შედეგებს ვარაუდობთ თბილისის შეხვედრებში?

— ამაზე ვერ გიპასუხებთ, არა ვარ პროგნოზების მოყვარული. ისე კი, მოსკოვში ერთი შეხვედრის წაგებისა და მეორის ფრედ დამთავრების შემდეგ, გასაგებია ჩვენი სურვილი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

## თბილისის სპორტულ [illegible]

**ფეხბურთი.** „დინამოს“ სტადიონი. 28 სექტემბერი. სსრ კავშირის თასის გათამაშება ფიზკულტურის კოლექტივების გუნდებს შორის. „სინათლე“ (თბილისი) — პოლიტსასწავლებელი (ლვოვი). დასაწყისი 16 ს. 30 წ.

**ფეხბურთი.** „ლოკომოტივის“ სტადიონი. 30 სექტემბერი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 17 ს.

**წყალბურთი.** საქართველოს სპორტკავშირის დახურული აუზი. 29 სექტემბერი. საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „დუისბურგ-98“ (გფრ). დასაწყისი 19 ს.

**მძლეოსნური კროსი.** კუსტბის მიდამოები. 28-29 სექტემბერი. შეჯიბრება წვევამდელთა I საქალაქო სპარტაკიადის პროგრამით. დასაწყისი 10 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 00903